საქართველოს
კონკურენციის
ეროვნული სააგენტო

N 04/431
19.07.2023

ბრძანება

431-01-4-202307191740

სსიპ - საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 12 აპრილის N04/190 ბრძანების შესაბამისად, თამარ ბენდელიანის (პ/ნ 62004027778) მიერ სააგენტოს გადაწყვეტილების განსაზღვრულ ვადაში შეუსრულებლობის გამო ჯარიმის დაკისრების თაობაზე

1. ფაქტობრივი გარემოებები

სსიპ - საქართველოს კონკურენციის ეროვნულ სააგენტოში (შემდგომში - სააგენტო) 2022 წლის 7 დეკემბერს წარმოდგენილ იქნა მოქალაქე (პ/ნ) (შემდგომში - განმცხადებელი/მომხმარებელი) №01/2260 განცხადება თამარ ბენდელიანის (პ/ნ 62004027778) (შემდგომში - მოვაჭრე) მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაძლო დარღვევის ფაქტზე.

„მოქალაქე განცხადების საფუძველზე საქმის შესწავლის დაწყების თაობაზე“ სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 7 თებერვლის N04/56 ბრძანებით დაიწყო საქმის შესწავლა კანონის სავარაუდო დარღვევის ფაქტთან დაკავშირებით.

„საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 7 თებერვლის N04/56 ბრძანების შესაბამისად განხორციელებული საქმის შესწავლის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების დამტკიცების შესახებ“ სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 12 აპრილის N04/190 ბრძანებით (შემდგომში - ბრძანება) დადასტურდა თამარ ბენდელიანის მხრიდან კანონის მე-5 მუხლის 1-ელი პუნქტის, მე-10 მუხლის, მე-16 მუხლის 1-ელი პუნქტის, მე-17 მუხლის 1-ელი და მე-2 პუნქტებისა და მე-18 მუხლის 1-ელი პუნქტის დარღვევის ფაქტი და კანონდარღვევის აღმოფხვრის მიზნით თამარ ბენდელიანს დაევალა მომხმარებელთა დარღვეული უფლებების აღდგენა და თავისი სავაჭრო პოლიტიკის კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა.

სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანებით დამტკიცებული „საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის“ (შემდგომში - პროცედურა) მე-17 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, სააგენტოს მიერ საქმის შესწავლის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება 3 სამუშაო დღის ვადაში გაეგზავნა მოვაჭრეს. პროცედურის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად,

ხსენებული გადაწყვეტილება ჩაბარებულად ჩაითვალა 2023 წლის 13 აპრილს მოვაჭრის მიერ სააგენტოში წარმოდგენილი 2023 წლის 13 აპრილის №01/1247 წერილის საფუძველზე. ბრძანების მე-3 და მე-4 პუნქტის საფუძველზე, თამარ ბენდელიანი ვალდებული იყო ბრძანების ჩაბარებიდან 1 თვის ვადაში გაეტარებინა შესაბამისი ღონისძიებები და აღნიშნულის თაობაზე 1 თვიანი ვადის გასვლიდან 5 სამუშო დღის განმავლობაში (2023 წლის 18 მაისის ჩათვლით) ეცნობებინა სააგენტოსთვის. ამასთან, ბრძანებით განსაზღვრულ ვადაში მოვაჭრეს სააგენტოსთვის არ წარმოუდგენია ვალდებულებების შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებები. გარდა ამისა, სააგენტოს მიერ შემოწმებულ იქნა სოციალურ ქსელის Facebook და Instagram გვერდებზე („Lafreeo“) განთავსებული სავაჭრო პოლიტიკა. მოვაჭრემ, სავაჭრო პოლიტიკა, კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობაში არ მოუყვანია.

რაც შეეხება იმ მომხმარებელთა უფლებების აღდგენას, რომელთაც მოვაჭრის მიერ კანონით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის შედეგად კანონით გათვალისწინებული უფლებები დაერღვათ, მოვაჭრეს არ წარმოუდგენია მტკიცებულება, რომლითაც დადგინდებოდა მომხმარებლისთვის დარღვეული უფლებების აღდგენის ფაქტი.

სააგენტოს მომხმარებლის უფლებების დაცვის დეპარტამენტის უფროსის 2023 წლის 31 მაისის N03/365 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე სააგენტომ დაიწყო მარტივი ადმინისტრაციული წარმოება ჯარიმის დაკისრების მიზნით.

3. ნორმატიული რეგულირება

კანონის 34-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, სააგენტოს გადაწყვეტილების მის მიერვე განსაზღვრულ ვადაში შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მოვაჭრეს ჯარიმა დაეკისრება. ამ ჯარიმის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს წინა ფინანსური წლის განმავლობაში მოვაჭრის წლიური ბრუნვის 2 პროცენტს. ამასთანავე, იგი 600 ლარზე ნაკლები არ უნდა იყოს. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ჯარიმის ოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იქნეს დარღვევის ხასიათი, სიმძიმე და ხანგრძლივობა. გარდა ამისა, პროცედურის მე-18 მუხლის მე-6 პუნქტების თანახმად, ჯარიმის ოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იქნეს დარღვევის მასშტაბი, ხასიათი, სიმძიმე, ხანგრძლივობა და სხვა გარემოებები.

4. სამოტივაციო ნაწილი

ბრძანების მე-3 და მე-4 პუნქტების საფუძველზე, თამარ ბენდელიანი ვალდებული იყო ბრძანების ჩაბარებიდან 1 თვის ვადაში გაეტარებინა შესაბამისი ღონისძიებები და აღნიშნულის თაობაზე 1 თვიანი ვადის გასვლიდან 5 სამუშო დღის განმავლობაში (2023 წლის 18 მაისის ჩათვლით) ეცნობებინა სააგენტოსთვის.

როგორც აღინიშნა, მოვაჭრისთვის ჯარიმის დაკისრების დროს, სააგენტოს მიერ გათვალისწინებულ უნდა იქნეს დარღვევის მასშტაბი, ხასიათი, სიმძიმე, ხანგრძლივობა და სხვა გარემოებები.

1. მოვაჭრის მიერ დარღვევის **მასშტაბის** შეფასებისას, სააგენტო ითვალისწინებს დარღვევის გეოგრაფიულ და შინაარსობრივ მასშტაბებსა - დარღვევა მოხდა ადგილობრივად (ლოკალურად, მხოლოდ ერთ რეგიონში) თუ ქვეყნის მასშტაბით და იმ მომხმარებელთა რაოდენობას, რომელთა ინტერესებზეც გავლენას ახდენს ან/და შესაძლოა მოახდინოს დარღვევის შედეგებმა (დარღვევა ვრცელდება ძალიან ვიწრო წრეზე თუ ფართო წრეზე). სააგენტომ თამარ ბენდელიანის მიმართ დარღვევის დადასტურების შესახებ გადაწყვეტილება მიიღო განცხადების და მოვაჭრის მიერ სააგენტოში წარმოდგენილი მასალების საფუძველზე, რომლიდანაც იკვეთება, რომ მოვაჭრე კომერციულ საქმიანობას ახორციელებს დისტანციურად, მთელი საქართველოს მასშტაბით. ამდენად, დისტანციური ვაჭრობის დროს პოტენციური მომხმარებლების აუდიტორიას წარმოადგენს ნებისმიერი ფიზიკური პირი მთელი ქვეყნის მასშტაბით, რომელსაც ექნება სურვილი მოვაჭრისგან მიიღოს შესაბამისი მომსახურება/საქონელი.
2. მოვაჭრის მიერ დარღვევის **ხასიათის** შეფასებისას, სააგენტო ითვალისწინებს ქმედება განზრახ იქნა ჩადენილი თუ გაუფრთხილებლობით. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-11 მუხლის თანახმად, დარღვევა განზრახ ჩადენილად ჩაითვლება, თუ მის ჩამდენს შეგნებული ჰქონდა თავისი მოქმედების ან უმოქმედობის მართლსაწინააღმდეგო ხასიათი, ითვალისწინებდა მის მავნე შედეგებს და სურდა ისინი ან შეგნებულად უშვებდა მათ. მხარეების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დგინდება, რომ მოვაჭრე კომერციულ საქმიანობას ახორციელებს დისტანციურად. მხარეების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ მოვაჭრე არ ახორციელებს კომერციულ საქმიანობას კანონის შესაბამისად, კერძოდ, მოვაჭრე განზრახ არღვევს კანონის მე-5 და მე-10 მუხლებით გათვალისწინებულ მომხმარებლისთვის ინფორმაციის მიწოდებისა და უნაკლო ნივთის გადაცემის ვალდებულებებს. ასევე,

მოვაჭრეს არც სააგენტოსთვის და არც მომხმარებლებისთვის არ წარუდგენია მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებდა მომხმარებლისთვის უნაკლო ნივთის გადაცემის ან დარღვეული უფლების აღდგენის და ონლაინ სავაჭრო პლათფორმაზე სავაჭრო პოლიტიკის კანონთან შესაბამისობაში მოყვანის ფაქტს. აღსანიშნავია, რომ მოვაჭრე სავაჭრო პოლიტიკის გამოსწორების ან/და მომხმარებლის დარღვეული უფლების აღდგენის მიზნით სააგენტოსთან არ თანამშრომლობს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოვაჭრის მიერ ზემოხსენებული ქმედებები განზრახ იქნა ჩადენილი.

3. მოვაჭრის მიერ დარღვევის **სიმძიმის** შეფასებისას, სააგენტომ გაითვალისწინა შემდეგი კრიტერიუმები: ა) ინტენსივობა; ბ) დამდგარი ან მოსალოდნელი ზიანის სახე (ქონებრივი); გ) მოვაჭრე მიქმედებდა მოგების მიღების მიზნით თუ საკუთარი საწარმოს რთულ ვითარებაში ჩაგდების თავიდან ასარიდებლად. მოცემულ შემთხვევაში, მოვაჭრემ ვერ დაადასტურა მომხმარებლისთვის უნაკლო ნივთის გადაცემის ფაქტი და ამასთან უარს აცხადებს ნივთის შეკეთება/შეცვლა/დაბრუნებაზე, რაც ქონებრივ ზიანს აყენებს მომხმარებელს. გარდა ამისა, სახელშეკრულებო ურთიერთობაში შესვლამდე, მომხმარებელს უნდა მიეწოდოს კანონის მე-5 და მე-10 მუხლებით გათვალისწინებული ინფორმაცია. მოვაჭრის მიერ ზემოაღნიშნული ვალდებულების დარღვევა ზიანს აყენებს არა მხოლოდ კონკრეტულ მომხმარებელს, არამედ, ნებისმიერ პოტენციურ მომხმარებელს, რომელსაც ექნება სურვილი, რომ მიიღოს შესაბამისი მომსახურება/საქონელი მოვაჭრისგან. აღსანიშნავია, რომ მითითებულ ვადაში მოვაჭრეს სააგენტოსთვის არ წარმოუდგენია ვალდებულებების შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებები. გარდა ამისა, სააგენტოს მიერ გადაწყვეტილებით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ შემოწმებულ იქნა მოვაჭრის სავაჭრო Facebook და Instagram გვერდები, რის შედეგადაც დადგინდა, რომ არ იყო განთავსებული შესაბამისი სავაჭრო პოლიტიკა, ხოლო რაც შეეხება იმ მომხმარებელთა უფლებების აღდგენას, რომელთაც მოვაჭრის მიერ კანონით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის შედეგად უფლებები დაერღვათ მოვაჭრეს არ წარმოუდგენია მტკიცებულება, რომლითაც დადგინდებოდა მომხმარებლისათვის დარღვეული უფლების აღდგენის ფაქტი. აღნიშნული ადასტურებს, რომ მოვაჭრე აგრძელებს კანონის დარღვევით კომერციულ საქმიანობას, რომელიც სავარაუდო ქონებრივ ზიანს აყენებს მომხმარებლებს.

და ბოლოს, სააგენტოს შეფასებით და სააგენტო[illegible]ში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ თამარ ბენდე[illegible]ლიანი მოქმედებდა მოგების მიღების მიზნით და არა საკუთარი საწარმოს [illegible]რთულ ვითარებაში ჩაგდების თავიდან ასარიდებლად.

4. მოვაჭრის მიერ დარღვევის ჩადენის **ხანგრძლივობის** შე[illegible]ვასებისას, სააგენტო [illegible]ითვალისწინებს რამდენ ხანს გრძელდებოდა კ[illegible]ანონსაწინააღმდეგო მოქმედება (ან უმოქმედობა). სააგენტოში წარმოდგენი[illegible]ლი განცხადებიდან დგინდება, რომ მოვაჭრის კანონის შეუსაბამო ქმედებებ[illegible]ა ხორციელდებოდა სულ მცირე მომხმარებლის მიერ მოვაჭრესთან ხელშეკ[illegible]რულების დადების მომენტიდან, კერძოდ, 2022 წლის ოქტომბრის თვიდან.

მოვაჭრის მიერ კანონის **დარღვევის ფაქტების სხვა გარემოებების** შეფასებისას, სააგენტომ გაითვალისწინა შემდეგი კრიტერიუმები: ა) მოვაჭ[illegible]რემ სცადა თუ არა სამართალდარღვევის მავნე შედეგების აცილება, ზარალი[illegible]ს ნებაყოფლობით ანაზღაურება ან მიყენებული ზიანის გამოსწორება; ბ) მოვაჭრ[illegible]ემ მიიღო თუ არა ზომები დარღვევის გამოსწორების მიზნით; გ) საქმის შესწავლის დროს სააგენტოსთან თანამშრომლობა. რაც შეეხება მოვაჭრემ სცადა თუ არა სამართალდარღვევის მავნე შედეგების აცილება, ზარალი[illegible]ს ნებაყოფლობით ანაზღაურება ან მიყენებული ზიანის გამოსწორება და მოვაჭრ[illegible]ემ მიიღო თუ არა ზომები დარღვევის გამოსწორების მიზნით მტკიცებულებები[illegible]თა და სააგენტოს მიერ მოვაჭრის სავაჭრო გვერდების გადამოწმებით დასტურ[illegible]დება, რომ თამარ ბენდელიანის მიერ არ განხორციელებულა კანონის მოთხოვ[illegible]ების შესრულება, კერძოდ, მოვაჭრემ არ განათავსა სავაჭრო გვერდზე წესები და[illegible] პირობები. ასევე, მომხმარებლებისთვის დარღვეული უფლებები არ აღუდგენ[illegible]ია. (აღნიშნულის დამდასატურებელი მტკიცებულებები სააგენტოს მიერ მოთხო[illegible]ვნილ ვადაში არ წარმოუდგენია). რაც შეეხება სააგენტოსთან თანამშრომლ[illegible]ობას, სააგენტომ მოვაჭრისგან მიიღო პოზიცია და განმარტება განცხადებ[illegible]ში მითითებულ გარემოებებზე, თუმცა მას არ წარმოუდგენია მომხმარებლ[illegible]ის განცხადებაში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების გამამტკიცებელი [illegible]მტკიცებულებები, კერძოდ, მოვაჭრემ ვერ დაამტკიცა მომხმარებელისთვის [illegible]უნაკლო ნივთის გადაცემის ფაქტი, ხოლო სავაჭრო პოლიტიკის შესახებ [illegible]ინფორმაცია მას სააგენტოსთვის არ წარუდგენია და არ თანამშრომლობს სააგენ[illegible]ტოსთან სავაჭრო პოლიტიკის კანონთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

როგორც აღინიშნა, კანონის 34-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხე[illegible]დვით, სააგენტოს გადაწყვეტილების მის მიერვე განსაზღვრულ ვადაში შეუსრ[illegible]ულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მოვაჭრეს ჯარიმა დაეკის[illegible]რება. ამ ჯარიმის

ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს წინა ფინანსური წლის განმავლობაში მოვაჭრის წლიური ბრუნვის 2 პროცენტს. 2023 წლის 16 ივნისს კანონში შეტანილ იქნა ცვლილება (საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში გამოქვეყნების თარიღი: 2023 წლის 30 ივნისი) და დაკისრებული ჯარიმის მინიმალური ოდენობა განისაზღვრა 600 ლარით. გასათვალისწინებელია, რომ „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24 მუხლის 1-ელი და მე-2 პუნქტის თანახმად, ნორმატიულ აქტს უკუძალა აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ არის დადგენილი ამ ნორმატიული აქტით, ხოლო ნორმატიულ აქტს, რომელიც ადგენს ან ამძიმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არა აქვს. იმის გათვალისწინებით, რომ სააგენტომ მარტივი ადმინისტრაციული წარმოება ჯარიმის დაკისრების მიზნით დაიწყო 2023 წლის 31 მაისს (კანონში შეტანილი ცვლილებას ამოქმედებამდე), მოვაჭრისთვის დაკისრებული ჯარიმა შესაძლებელია იყოს 600 ლარზე ნაკლები ოდენობის და არ უნდა აღემატებოდეს წინა ფინანსური წლის განმავლობაში მოვაჭრის წლიური ბრუნვის 2 პროცენტს.

აღსანიშნავია, რომ სააგენტოს ხელთ არსებული ინფორმაციით, წინა ფინანსური წლის განმავლობაში მოვაჭრის წლიური ბრუნვა შეადგენს [illegible] ლარს. ყოველივე ზემოაღნიშნულისა და იმის გათვალისწინებით, რომ სააგენტომ მარტივი ადმინისტრაციული წარმოება ჯარიმის დაკისრების მიზნით დაიწყო 2023 წლის 31 მაისს, თამარ ბენდელიანისთვის (პ/ნ 62004027778) დასაკისრებელი ჯარიმის ოდენობა უნდა განისაზღვროს 19,5 (ცხრამეტი ლარი და ორმოცდაათი თეთრი) ლარით, რაც წარმოადგენს მოვაჭრის 2022 წლის წლიური ბრუნვის [illegible] ლარის ½-ს.

5. სარეზოლუციო ნაწილი

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17[1] მუხლის მე-4 პუნქტის, მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის, „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის მე-5 პუნქტის, 34-ე მუხლის პირველი, მე-3, მე-5, მე-6, მე-7 პუნქტების, საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანებით დამტკიცებული „საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის“ მე-18 მუხლის პირველი, მე-3, მე-4 და მე-6 პუნქტების, მე-19 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. დადასტურდეს თამარ ბენდელიანის (პ/ნ 62004027778) მიერ „საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 7

თებერვლის N04/56 ბრძანების შესაბამისად განხორციელებული საქმის შესწავლის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების დამტკიცების შესახებ“ სსიპ - საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 12 აპრილის №04/190 ბრძანების განსაზღვრულ ვადაში შეუსრულებლობა.

2. თამარ ბენდელიანს (პ/ნ 62004027778) დაეკისროს ჯარიმა 19,5 (ცხრამეტი ლარი და ორმოცდაათი თეთრი) ლარის ოდენობით.
3. თამარ ბენდელიანი (პ/ნ 62004027778) ვალდებულია, დაკისრებული ჯარიმა გადაიხადოს ამ ბრძანების კანონმდებლობით განსაზღვრული წესით გაცნობიდან 1 თვის ვადაში.
4. ჯარიმა გადაიხდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში.
5. ჯარიმის დაკისრება თამარ ბენდელიანს (პ/ნ 62004027778) არ ათავისუფლებს „საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 7 თებერვლის N04/56 ბრძანების შესაბამისად განხორციელებული საქმის შესწავლის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების დამტკიცების შესახებ“ სსიპ - საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 12 აპრილის №04/190 ბრძანების შესრულების ვალდებულებისგან.
6. ეს ბრძანება განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
7. ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია მისი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით გაცნობიდან 30 კალენდარული დღის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64);
8. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ირაკლი ლექვინაძე

თავმჯდომარე